საქართველოს მთავრობის

დადგენილება №503

2022 წლის 26 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებადი სამუშაოების (მომსახურების) სახელშეკრულებო საფასურების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ანაზღაურებადი სამუშაოების (მომსახურების) სახელშეკრულებო საფასურების განსაზღვრის მიზნით, დამტკიცდეს თანდართული:

1. სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მომსახურების საფასურები (დანართი №1).

2. სააგენტოს მეტროლოგიური სამუშაოების საფასურის განსაზღვრის წესი (დანართი №2).

3. სააგენტოს მეტროლოგიური სამუშაოების საფასურების ჩამონათვალი (დანართი №3).

მუხლი 2

სააგენტოს მეტროლოგიური სამუშაოების საფასური ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დანართში მოცემული ფორმულით გამოიანგარიშება იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისთვის საფასური არ არის განსაზღვრული ამავე დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ჩამონათვალში.

მუხლი 3

ამ დადგენილების დანართ №1-ის მე-2 ცხრილით განსაზღვრული საფასურები არ ვრცელდება სასამართლო ხელისუფლებაზე ან/და საგამოძიებო ორგანოებზე.

მუხლი 4

ამ დადგენილების დანართ №1-ის მე-2 ცხრილით განსაზღვრული საფასურების 10%-იანი ფასდაკლება გავრცელდეს იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვთ მცირე ან მიკრობიზნესის სტატუსი.

მუხლი 5

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებადი სამუშაოების (მომსახურების) სახელშეკრულებო საფასურების განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №114 დადგენილება.

მუხლი 6

1. ეს დადგენილება, გარდა ამ დადგენილების მე-4 მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ დადგენილების მე-4 მუხლი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**